შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის

სამედიცინო /სანიტარული სტრუქტურული ერთეულის

დებულება

დამტკიცებულია

სკოლის დირექტორის მიერ

ბრძანება N 01-03/04

10 09 2021 წწ.

ბათუმი

შინაარსი

1. ზოგადი დებულებები ------- 3

2. ტერმინთა განმარტება ----- 3

3. სანიტარულ - სამედიცინო კაბინეტის მიზნები და ფუნქციები 3

4. სანიტარულ-სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა - - - - 4

5. სტრუქტურა - - - 5

6. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირის უფლება–მოვალეობები - - - 5

7. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სანიტარული ზომების გატარების წესი (პროტოკოლი) - - - 6

8. დასკვნითი დებულებები - - - 7

1. ზოგადი დებულებები

1. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის სანიტარულ - სამედიცინო კაბინეტი, რომელიც შედგება პირველადი დახმარებისა და იზოლაციის სივრცეებისგან, წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ქვედანაყოფს. თავისი საქმიანობით ის ხელს უწყობს სკოლაში სტანდარტით გათვალისწინებული სანიტარული მოთხოვნების დაკმაყოფილებას , პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას და მონიტორინგს.
2. სანიტარულ - სამედიცინო კაბინეტი თავის საქმიანობას წარიმართავს „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, "სკოლამდელი და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ" მინისტრის ბრძანების, წინამდებარე დებულების, დირექტორის მითითებებისა და განკარგულებების საფუძველზე.
3. სკოლის სანიტარულ - სამედიცინო კაბინეტით სარგებლობის უფლება აქვთ მოსწავლეებს, პედაგოგებს და სკოლის სხვა თანამშრომლებს;

2. ტერმინთა განმარტება

2.1 ამ დებულების მიზნებისათვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) სანიტარულ - სამედიცინო კაბინეტი -- გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობით და მედიკამენტებით ადგილი/ფართი სკოლაში, სადაც სკოლის ტერიტორიაზე მყოფ პირს გაეწევა პირველადი სამედიცინო დახმარება;
ბ) ინფექციური თუ ვირუსული დაავადები - სწრაფად გავრცელებადი, გადამდები დაავადებები
გ) დეზინფექცია -- ავადმყოფობის გამომწვევ მიკრობთა მოსპობა
დ) დეზინსექცია --ბრძოლა მწერებთან - ტილები, ტკიპები და სხვა
ე)დერატიზაცია -- ბრძოლა მღრღნელების წინააღმდეგ
ვ) ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირი --- სკოლაში მომუშავე პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი
ზ) ეპიდემია --მწვავე ინფექციური დაავადების სწრაფი და ფართო გავრცელება
თ) პანდემია --ინფექციური დაავადების გავრცელება რეგიონულ/სახელმწიფო/მსოფლიო დონეზე
ი) კატასტროფა — ბუნებრივი ან ტექტოგენური საგანგებო მდგომარეობის შედეგად წარმოქმნილი მოვლენები, რომელსაც თან სდევს ადამიანთა მსხვერპლი ან რაიმე გამოუსწორებელი შედეგი
კ) საიზოლაციო ოთახში - კაბინეტი/ფართი სკოლაში, სადაც ხდება პანდემიის პეროდში ცხელების მქონე პირის განთავსება

3. სანიტარულ - სამედიცინო კაბინეტის მიზნები და ფუნქციები

1. სანიტარულ - სამედიცინო კაბინეტის ძირითად მიზანს წარმოადგენს:

ა) სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევა მოსწავლე-თანამშრომელთათვის და სკოლის ტერიტორიაზე სტანდარტის შესაბამისი სანიტარული ნორმების დაცვა.
ბ) გარკვეული ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების შემთხვევაში პრევენციის მიზნით სკოლაში სამედიცინო კონსულტაციებისა და დახმარების გაწევა;
გ) პირველადი სამედიცინო და სანიტარული მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლება;
დ) ეპიდემიის შემთხვევაში, დაავადების გავრცელების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, პრევენციული სტრატეგიის შემუშავება;
ე) სკოლაში კარანტინის გამოცხადებაზე ან/და დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის წინადადების მიწოდება სკოლის ადმინისტრაციაზე.
ვ) საჭიროების შემთხვევაში სასწარაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახება.

4. სანიტარულ-სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა

1. სკოლის სანიტარულ-სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მინიმალური აღჭურვილობით და მედიკამენტებით.
2. სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობაში შედის:

- მაგიდა;
- ტახტი;
- სააფთიაქო კარადა;
- სამედიცინო სასწორი ;
- სიმაღლის საზომი;
- ხელის დინამომეტრი;
- თერმომეტრი;
- ტონომეტრი;
- ფონენდოსკოპი;
- გამადიდებელი ლუპა;
- რეზინის ლახტი;
- რეზინის სათბური;
- ბუშტი ყინულისათვის;
- სამედიცინო მაკრატელი;
- პინცეტი;
- ნიღაბი „პირით-პირში” სუნთქვისთვის;
- საკაცე;
- მაცივარი;
- მედიკამენტები (ჯანდაცვის სამინისტროს მიერ რეკომენდირებული)

3.სასწრაფო სამედიცინო ბრიგადის მოსვლამდე, სკოლის სანიტარულ-სამედიცინო კაბინეტი წარმოადგენს ექიმამდელი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის ადგილს.
4. სკოლის სანიტარულ-სამედიცინო კაბინეტში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია პირველი დახმარებისა და პანდემიური პერიოდის ინსტრუქცია/პროტოკოლი.

5. სტრუქტურა

1. სკოლის სანიტარულ - სამედიცინო კაბინეტს ხელმძღვანელობს სკოლის დირექტორის მიერ დანიშნული ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი.
2. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი თავის საქმიანობაში ანგარიშვალდებულია უშუალოდ სკოლის დირექტორის წინაშე.

6. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირის უფლება–მოვალეობები

1. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი უზრუნველყოფს სკოლაში პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის და სანიტარული მოთხოვნების შესრულებისათვის აუცილებელი ზომების გატარებას.
3. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი, ახდენს მოსწავლეებისა და სკოლაში დასაქმებული პირების ჯანმრთელობის პრობლემის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას. ინფორმაცია კონფიდენციალურია და მისი გაცემა ხდება მხოლოდ სამედიცინო თუ სამართალდამცველ უწყებებზე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინფორმაციის გამოთხოვის წესის შესაბამისად.
4. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი ვალდებულია განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს, აღრიცხოს და მეთვალყურეობის ქვეშ ყავდეს განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვები და სკოლის თანამშრომლები (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა, ფსიქიკური დარღვევები სხვათა დროს).
5. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი, მშობლის განცხადების საფუძველზე, სხვადასხვა სამედიცინო დიაგნოზის მქონე მოსწავლეებზე (დიაბეტი, ეპილეფსია, დაქვეითებული მხედველობა და ა.შ.) უზრუნველყოფს დანიშნულების შესაბამისად სამედიცინო პრეპარატების მიწოდებას;
6. საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ავადმყოფის შესაბამის დაწესებულებაში გადაყვანაზე კონტროლს და აქტიურად თანამშრომლობს უბნის/ოჯახის ექიმთან;
7. ეპიდემიის შემთხვევაში, ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი , ვალდებულია უზრუნველყოს პრევენციული სტრატეგიის შემუშავება ან/და მოახდინოს დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაცია-მითითებების შესრულება, დაავადების გავრცელების საშიშროების თავიდან ასაცილების მიზნით;
8. საჭიროებიდან გამომდინარე, ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი, უზრუნველყოფს ინფექციური თუ ვირუსული დაავადების გავრცელების ან მათი გავრცელების თავიდან აცილების მიზნით სამედიცინო კონსულტაციების გაწევას სკოლის მოსწავლეებისათვის და თანამშრომლებისათვის.
9. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი, პერმანენტულად ამოწმებს კვების ბლოკის სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებს და უზრუნველყოფს მის შესაბამისობას სტანდარტებთან.
10. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი,

სანიტარიული ნორმების დაცვისა და პროფილაქტიკური სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების აუცილებლობის შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას დეზინფექციის, დეზინსექციისა და დერატიზაციის ჩატარების შესახებ;

11. ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი წარმოადგენს სკოლის ევაკუაციის შტაბის წევრს და მონაწილეობს მასზე დაკისრებული ვალდებულების ნაწილში, როგორც გეგმიურ-სასწავლო განგაშის იმიტაციებში, ისე რეალური ტექნოგენური და ბუნებრივი კატასტროფების დროს;

12. სკოლაში, ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი სანიტარული წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია აწარმოოს მონიტორინგი და შეიმუშაოს ქმედითი ღონისძიებები.

7. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და სანიტარული ზომების გატარების წესი (პროტოკოლი)

1. სკოლის სანიტარულ-სამედიცინო კაბინეტი , ყოველდღიურ რეჟიმში უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზე შემსვლელი პირის (მოსწავლე, სკოლის თანამშრომელი) ყველა ტემპერატურის გაზომვას (ნებისმიერი პანდემიური სიტუაციის პერიოდში). დაუშვებელია რესპირატორული ინფექციისთვის დამახასიათებელი სიმპტომების მქონე (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.) პირების (მასწავლებლების, თანამშრომლებისა და მოსწავლეების) დაშვება დაწესებულების შენობაში;

2. სასკოლო სივრცეში უკვე მყოფ პირზე 37^{0}C ან/და 37^{0}C -ზე მეტი ტემპერატურის დაფიქსირდების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ხდება მისი გადაყვანა საიზოლაციო ოთახში. მოსწავლის შემთხვევაში,სკოლის ადმინისტრაცია უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, რომელიც ვალდებულია მოსწავლის სკოლიდან დროულად გაყვანაზე;მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გონივრულ ვადაში სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სკოლა უკავშირდება 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად, გადამისამართების მიზნით;

3. საიზოლაციო ოთახში მყოფ ყველა პირს (მათ შორის, მოსწავლეს) უნდა ეკეთოს პირბადე, დაცული უნდა იყოს 1-მეტრიანი დისტანცია და მოსწავლეები არ უნდა რჩებოდნენ მეთვალყურეობის გარეშე;

5.დღის განმავლობაში დაწესებულებაში მყოფი ნებისმიერი პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებისას ხდება ტრამვის/სიმპტომატიკის შესაბამისი ღონისძიების ჩატარება. აუცილებლობის შემთხვევაში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის დროული ჩართვა;

6. რესპირატორული სიმპტომების (ხველა, ცემინება, სურდო, სუნთქვის გაძნელება, საერთო სისუსტე და ა.შ.), ან ცხელების სასწავლო პროცესის დროს გამოვლენის შემთხვევაში, მოსწავლე/ სოლის თანამშრომელი (პირბადით) დროებით გადაყვანილი უნდა იყოს საიზოლაციო ოთახში. მოსწავლის შემთხვევაში უნდა მოხდეს მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის დაუყოვნებლივ ინფორმირება; მშობლის/კანონიერი

წარმომადგენლის გონივრულ ვადაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაწესებულება ვალდებულია დაუკავშირდეს 112-ს შესაბამისი სამედიცინო სერვისის მისაღებად გადამისამართების მიზნით;

7. სკოლაში ცხელების, რესპირატორული სიმპტომების , მათ შორის COVID-19 -ით ინფიცირების დაფიქსირების ყველა შემთხვევის შემდგომ მოსწავლეების, მასწავლებლებისა და თანამშრომლების სასწავლო დაწესებულებაში დაშვება ხდება მხოლოდ შესაბამისი სამედიცინო დასკვნის საფუძველზე.

8. მოსწავლის/თანამშრომლის ვირუსული(მათ შორის, COVID-19-ით) ინფიცირების დადასტურების შემთხვევაში, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის კონტაქტების მოძიება და კარანტინის/თვითიზოლაციის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღება ხდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურების რეკომენდაციების შესაბამისად , სკოლიდან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

9. სანიტარული მდგრადობის მიზნით, ექთანი ან/და ექთანთან გათანაბრებული პირველადი სამედიცინო დახმარების მცოდნე პირი უზრუნველყოფს სკოლის შენობისა და ინვენტარის სველი წესით დამუშავებაზე ყოველდღიურ ზედამხედველობას.

7. დასკვნითი დებულებანი

1. შპს სკოლა-ლიცეუმ მასტერკლასის სამედიცინო /სანიტარული სტრუქტურული ერთეულის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ -სამართლებრივი აქტით საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა , შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამისნისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის რეკომენდაციებისა და კანონმდებლობის საფუძველზე.